

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბაკური“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე
2. დასკვნა ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტზე
3. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
4. სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
7. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ბაკური-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე, გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებაზე.
2. განცხადებაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით.
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ა) კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ბ) ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმენას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
- გ) სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- დ) კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე.
- ე) თაღლითობისა და სხვა დარღვევების არმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაქვეყნად 2022 წლის 10 აგვისტოს

შპს ბაკურის
დირექტორი

თ. ბაკურიძე

მთ ბუღალტერი

თ. ფალავანდიშვილი

2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ბაკურის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,792,671 ლარს (9,853,001 ლარს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, ალტერნატიული მეთოდებით მიგვეღო რწმუნება 2021 და 2020 წლების 31

დეკემბრის მდგომარეობით ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც წარმოდგენილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შედეგად ჩვენ არ გვექონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით და აგრეთვე გამოყენებულ მარაგებთან დაკავშირებით, რაც შეადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამისია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და

ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მეთვალეურობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

თამაზ აბუსერიძე

.....

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2022 წლის 21 ნოემბერი

ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვათვალთვალებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
თამაზ აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2022 წლის 21 ნოემბერი



3. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბაკური“ და მისი შვილობილი კომპანიები
ლარი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	513,865	385,153	708,550
მოთხოვნა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,883,285	1,884,700	2,500,680
მოთხოვნა სანარმოს პერსონალის მიმართ	46,949	38,189	69,938
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	725,963	820,638	701,711
სასაქონლო მარაგები	7,792,671	9,853,001	10,240,999
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,197,364	1,590,244	2,009,866
სხვა მისაღები თანხები	361,088	13,734	155,729
სულ მიმდინარე აქტივები	12,521,184	14,585,659	16,387,474
სატრანსპორტო საუალებები	54,667	65,722	95,191
ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	262,730	411,021	549,201
მოწყობილობა და დანადგარები	3,126,804	3,355,916	3,484,554
უძრავი ქონება	15,051,032	15,183,240	15,605,169
მიწა	34,031,803	32,852,286	32,852,286
სულ ძირითადი საშუალებები	52,527,036	51,868,185	52,586,401
არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები			
არამატერიალური აქტივები	5,654	6,541	7,427
სულ არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები	5,654	6,541	7,427
სულ აქტივები	65,053,874	66,460,384	68,981,301
მიმდინარე ვალდებულებები:			
ვალდებულება საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,613,135	891,560	812,804
გადასახდელი ხელფასები	42,133	46,224	31,086
ავანსად მიღებული თანხები	2,518,969	3,359,434	3,517,297
მოკლევადიანი სესხები	103,421	131,820	160,704
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,780	11,315	1
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,279,439	4,440,352	4,521,892

გრძელვადიანი ვალდებულებები:

გრძელვადიანი სესხები	20,646,652	23,929,458	22,022,272
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	367,380
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	20,646,652	23,929,458	22,389,652
სულ ვალდებულებები	24,926,091	28,369,810	26,911,543
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	3,032,115	4,530,908	5,468,749
გაუნაწილებელი მოგება	2,930,592	(749,321)	2,749,492
არამაკონტროლებელი წილი	1,547,537	1,691,447	1,233,977
რეზერვები და დაფინანსება	32,617,540	32,617,540	32,617,540
მთლიანი კაპიტალი	40,127,784	38,090,574	42,069,758
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	65,053,874	66,460,384	68,981,302

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	367,380
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	20,646,652	23,929,458	22,389,652
სულ ვალდებულებები	24,926,091	28,369,810	26,911,543
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	3,032,115	4,530,908	5,468,749
გაუნაწილებელი მოგება	2,930,592	(749,321)	2,749,492
არამაკონტროლებელი წილი	1,547,537	1,691,447	1,233,977
რეზერვები და დაფინანსება	32,617,540	32,617,540	32,617,540
მთლიანი კაპიტალი	40,127,784	38,090,574	42,069,758
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	65,053,874	66,460,384	68,981,302

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თ. შავეჩი

თენგიზ ბაკურიძე

10.08.2022 წ.

მთავარი ბუღალტერი

თ. გომი

თენგიზ ფალავანდიშვილი

4. სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბაკური“ შპს „ბაკური“ და მისი შვილობილი კომპანიები
ლარი

<i>შემოსავლები:</i>	2021 წელი	2020 წელი
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი:	10,452,663	10,244,132
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,374,205	2,520,885
შემოსავალი იჯარიდან	1,776,246	2,094,506
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	1,282,412	989,078
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	5,378,908	4,237,152
შემოსავალი სასტუმროდან	101,252	29,349
შემოსავალი ბაზრიდან	488,792	372,408
სხვა საოპერაციო შემოსავალი	50,848	754
წმინდა ამონაგები	10,452,663	10,244,132
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	4,106,692	3,253,160
საერთო მოგება	6,345,971	6,990,972
 <i>საოპერაციო ხარჯები</i>		
სახელფასო ხარჯები	1,230,956	1,249,080
ტრანსპორტირების ხარჯები	37,196	80,427
იჯარა	16,841	39,915
რეკლამა	1,169	3,995
კომუნალური ხარჯები	690,059	402,989
კომუნიკაციის ხარჯი	11,173	14,742
დაცვის ხარჯი	63,085	60,856
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	22,669	16,463
საოფისე ხარჯები	29,208	30,806
ცვეთა და ამორტიზაცია	753,401	960,862
საბანკო მომსახურების ხარჯები	51,562	13,106
საგადასახადო ხარჯი	39,285	201,938
რემონტი	478,042	554,627
სხვა ხარჯი	52,410	66,247
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	3,477,056	3,696,053
 <i>საოპერაციო მოგება/ზარალი</i>	2,868,915	3,294,919
საპროცენტო ხარჯი	854,057	1,397,541
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,141,498	2,116,959
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,620,355	7,055,681

წმინდა მოგება (ზარალი)	3,536,002	(3,041,344)
------------------------	-----------	-------------

ჯგუფის მშობელი საწარმოს მოგება/ზარალი	3,679,913	(3,498,813)
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე მიკუთვნებული მოგება	(143,911)	457,469

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

მოლიანი საოპერაციო ხარჯები	3,477,056	3,696,053
საოპერაციო მოგება/ზარალი	2,868,915	3,294,919
საპროცენტო ხარჯი	854,057	1,397,541
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,141,498	2,116,959
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,620,355	7,055,681
წმინდა მოგება (ზარალი)	3,536,002	(3,041,344)

ჯგუფის მშობელი საწარმოს მოგება/ზარალი	3,679,913	(3,498,813)
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე მიკუთვნიებული მოგება	(143,911)	457,469


ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი




თენგიზ ბაკურიძე

მთავარი ბუღალტერი



თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბაკური“ და მისი შვილობილი კომპანიები
ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 წელი	5,468,749	2,749,492	32,617,540	1,233,977	42,069,758
გადაფასების რეზერვი					-
					-
					-
სულ წლის სრული შემოსავალი		(3,498,813)		457,470	(3,041,344)
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(937,841)				(937,841)
					-
31 დეკემბერი 2020 წელი	4,530,908	(749,321)	32,617,540	1,691,447	38,090,573
გადაფასების რეზერვი					-
					-

სულ წლის სრული შემოსავალი		3,679,913		(143,910)		3,536,003
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(1,498,793)					(1,498,793)
						-
31 დეკემბერი 2021 წელი	3,032,115	2,930,592	32,617,540	1,547,536		40,127,783

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

31 დეკემბერი 2021 წელი	3,032,115	2,930,592	32,617,540	1,547,536	40,127,783
---------------------------	-----------	-----------	------------	-----------	------------

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ბაკურიძე

10.08.2022 წ.

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ფალავანდიშვილი

6. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბაკური“ და მისი შვილობილი კომპანიები
ლარი

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	7,437,495	9,539,666
ავანსად მიღებული თანხები	4,000,911	1,713,663
-	11,438,405	11,253,329
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები	(3,403,336)	(2,535,406)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(1,495,574)	(1,740,137)
გადახდილი გადასახადები	(1,689,842)	(1,258,568)
სულ გაცემული თანხები	(6,588,752)	(5,534,112)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	4,849,654	5,719,218
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(371,383)	(227,238)
გაცემული დივიდენდები	-	(108,500)
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(371,383)	(335,738)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის მიღება	29,279	275,519
სესხის ძირის დაფარვა	(1,918,149)	(3,456,668)

6. ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს „ბაკური“ და მისი შვილობილი კომპანიები
ლარი

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	7,437,495	9,539,666
ავანსად მიღებული თანხები	4,000,911	1,713,663
-	11,438,405	11,253,329
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები	(3,403,336)	(2,535,406)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(1,495,574)	(1,740,137)
გადახდილი გადასახადები	(1,689,842)	(1,258,568)
სულ გაცემული თანხები	(6,588,752)	(5,534,112)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	4,849,654	5,719,218
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(371,383)	(227,238)
გაცემული დივიდენდები	-	(108,500)
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(371,383)	(335,738)
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სესხის მიღება	29,279	275,519
სესხის ძირის დაფარვა	(1,918,149)	(3,456,668)
სესხის პროცენტის დაფარვა	(995,164)	(883,700)
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	(1,433,694)	(1,291,607)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(4,317,727)	(5,356,456)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	160,543	27,024
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	385,151	708,549
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	309	15,581

სავალუტო გადაფასების ხარჯი	(32,139)	(366,004)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	513,865	385,152

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

სესხის პროცენტის დაფარვა	(995,164)	(883,700)
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	(1,433,694)	(1,291,607)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(4,317,727)	(5,356,456)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	160,543	27,024
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	385,151	708,549
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	309	15,581
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(32,139)	(366,004)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	513,865	385,152

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ბაკურიძე

10.08.2022 წ.

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ფალავანდიშვილი

7. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერი

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მშობელი საწარმოს ძირითადი საშუალებების ნაწილში შემავალი შენობა-ნაგებობებისა და მიწისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული თანხით.

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადანაცვებების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. ჯგუფმა მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ახლო მომავალ პერიოდში არ არსებობს ეჭვი ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით.

კონსოლიდაციის საფუძველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი ჯგუფის მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

2. ამონაგების აღიარება

ჯგუფი შემოსავლებს აღირებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. აღნიშნული თარიღიდან მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტი გახდა განაწილებული მოგება.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობები

40-50 წელი

მანქანა დანადგარები

15-20 წელი

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა

10-15 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

10-20 წელი

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ჯგუფის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან რომელთა სასიცოცხლო პერიოდი შეადგენს 1-15 წელი.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც ჯგუფის მიერ გამოიყენება საქმიანობის პროცესში, საბალანსო ანგარიშებზე მათი ასახვა ხდება გამოყენების ფორმის მიხედვით (სარეალიზაციო საქონელი და საწვავ საცხები მასალები).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. სავაჭრო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

10. ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

11. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

12. შემოსავლები 2020-2021 წელი.

ლარი

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,374,205	2,520,885
შემოსავალი იჯარიდან	1,776,246	2,094,506
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	1,282,412	989,078
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	5,378,908	4,237,152
შემოსავალი სასტუმროდან	101,252	29,349
შემოსავალი ბაზრიდან	488,792	372,408
სხვა საოპერაციო შემოსავალი	50,848	754
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი		-
სულ საოპერაციო შემოსავლები	10,452,663	10,244,132
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	974,361	429,002
დადებითი საკურსი სხვაობა	2,167,138	1,687,957
საპროცენტო შემოსავალი		-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	3,141,498	2,116,959
სულ შემოსავალი	13,594,161	12,361,092

13. ხარჯები 2020- 2021 წელი

ლარი

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
გაციდული საქონლის თვითღირებულება	4,106,692	3,253,160
საოპერაციო ხარჯები	3,477,056	3,696,053
უარყოფითი საკურსო სხვაობა	52,946	3,943,687
საპროცენტო ხარჯი	854,057	1,397,541
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,567,409	3,111,994
სულ ხარჯები	10,058,160	15,402,435

14. მოგება/ზარალი 2019-2020 წელი
ლარი

	2021 წელი	2020 წელი
სულ შემოსავალი	13,594,161	12,361,092
სულ ხარჯი	10,058,160	15,402,435
მოგება	3,536,002	(3,041,344)

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

ლარი

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	19,814	126,373
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
თიბისი ბანკი GEL	323,375	254,206
საქართველოს ბანკი GEL	2,720	985
ლიბერთი ბანკი GEL		
ბითიფი ბანკი		5
პროკრედიტ ბანკი	376	376
კორ-სტანდარტ ბანკი		6
სს იმ ბანკი	100,116	2,604

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
საქართველოს ბანკი		-
სს იშ ბანკი	59,067	
კორ-სტანდარტ ბანკი		20
თიბისი ბანკი	8,397	577
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	494,051	258,780
სულ ფულადი სახსრები	513,865	385,152

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ლარი	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,883,285	1,884,700
მოთხოვნა სანარმოს პერსონალის მიმართ	46,949	38,189
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	725,963	820,638
სხვა მოთხოვნები	361,088	13,734
სულ მოთხოვნები	3,017,285	2,757,261

17. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

ლარი	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
OOO GIDROENERGETIKA	20,117	20,117
ENDUSTRIYEL URUNLER VE SOGUTMA SAN.TIC.LTD.STI.	31,619	31,619
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	674,227	768,902
სულ მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსები	725,963	820,638

18. სასაქონლო-მატერიალური
ფასეულობები

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
ლარი		
დაუმთავრებელი წარმოება	2,067,593	641,581
სხვა სასაქონლო მარაგები	5,725,078	9,211,420
სულ საქონელი	7,792,671	9,853,001

19. არამატერიალური აქტივების (პროგრამული
უზრუნველყოფა)

საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	7,427
გასული არამატერიალური აქტივები	-
შემოსული არამატერიალური აქტივები	-
მიმდინარე ცვეთა	886
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	6,541
გასული არამატერიალური აქტივები	-
შემოსული არამატერიალური აქტივები	-
მიმდინარე ცვეთა	887
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	5,654

20. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის
და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

შპს ბაკური - კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებები	შენობები და ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და ალჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე ალჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
---	------------------------------	---	---	-----------------------------	------	-----

2020 წლის 01 იანვარი	19,108,954	4,603,883	1,107,946	247,517	32,852,286	57,920,586
შემოსავალი	29,354	25,113	26,289	6,000	-	86,756
გასავალი	28,750	1,544	40,990	49,966	-	121,251
2020 წლის 31 დეკემბერი	19,109,558	4,627,452	1,093,245	203,551	32,852,286	57,886,091
შემოსავალი	461,872	2,667	79,944	-	1,179,517	1,724,000
გასავალი	44,508	157,870	99,445	1,678	-	303,501
2021 წლის 31 დეკემბერი	19,526,922	4,472,248	1,073,745	201,873	34,031,802	59,306,590
2020 წლის 01 იანვარი	3,503,785	1,119,329	558,746	152,326	-	5,334,185
წლის ცვეთა	418,922	152,207	127,089	25,514	-	723,733
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	40,012	-	40,012
2020 წლის 31 დეკემბერი	3,922,707	1,271,535	685,835	137,829	-	6,017,906
წლის ცვეთა	553,183	153,717	183,405	9,378	-	899,682
გასული აქტივის ცვეთა	-	79,808	58,226	-	-	138,034
2021 წლის 31 დეკემბერი	4,475,890	1,345,444	811,014	147,206	-	6,779,554
საბალანსე ღირებულება	-	-	-	-	-	-
2020 წლის 01 იანვარი	15,605,169	3,484,555	549,200	95,191	32,852,286	52,586,401
2020 წლის 31 დეკემბერი	15,186,851	3,355,916	407,410	65,722	32,852,286	51,868,185
2021 წლის 31 დეკემბერი	15,051,032	3,126,804	262,731	54,667	34,031,802	52,527,036

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
ლარი		
შპს სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა	7,797	943
შპს ბიჭი თრეიდი	9,350	9,350
სს ენერგო-პრო-ჯორჯია	67,783	95,184
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	1,528,206	786,083

სულ ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	1,613,135	891,560
მიღებული ავასები	2,518,969	3,359,434
გადასახდელი ხელფასები	42,133	46,224
მოკლევადიანი სესხები	103,421	131,820
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,780	11,315
სულ ვალდებულებები	4,279,439	4,440,352

22. გრძელვადიანი ვალდებულებები

	2021 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
ლარი		
სესხები კომერციული ბანკიდან	20,646,652	23,929,458
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	20,646,652	23,929,458

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

გასული წლის დასაწყისიდან გავარცელებული ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გარკვეული ვადით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სიტუაციიდან გამომდინარე ჯგუფი აღმოჩნდა გარკვეული გამოწვევების წინაშე, გარკვეულ პერიოდში შემცირდა რეალიზაციები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელების განმარტებით, ჯგუფი მზად არის განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და ცდილობენ არ შეამცირონ თანამშრომელთა რაოდენობა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა
2022 წლის 11 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

ვადით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სიტყუაციიდან გამომდინარე ჯგუფი აღმოჩნდა გარკვეული გამოწვევების წინაშე, გარკვეულ პერიოდში შემცირდა რეალიზაციები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელების განმარტებით, ჯგუფი მზად არის განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და ცდილობენ არ შეამცირონ თანამშრომელთა რაოდენობა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 11 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ბაკურიძე

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ფალავანდიშვილი

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ.

შპს „ბაკური“

მმართველობის ანგარიშგება

(კონსოლიდირებული)

საქართველო, ქ. ბათუმი
2022 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. ჯგუფის საქმიანობის ანგარიში
3. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. ჯგუფის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა.

შპს DLT-A აუდიტის დირექტორს
ბატონ თამაზ აბუსერიძეს

შპს ბაკურის ს/კ 245392089 და მისი შვილობილი
კომპანიების დამფუძნებლის
მომართვა

შპს ბაკურის დამფუძნებელი წარმოგიდგენთ 2021 წლის შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც მოქმედი კანონის მიხედვით გაგვიჩნდა 2017 წლიდან. ამასთან გაცნობებთ, რომ შპს ბაკური რეგისტრირებულია 1996 წლის 24 იანვარს. ამჟამად ვარ შპს ბაკურის დირექტორი.

შპს ბაკურის-ს დამფუძნებელია:
ფ/პ თენგიზ ბაკურიძე, პ/ნ 61006000763.
ფ/პ ნონა ბაკურიძე, პ/ნ 61001016806.

შპს ბაკურის შვილობილი კომპანიებია:
შპს ბეთლემი 2011,
შპს ქ ბათუმის N 4 პოლიკლინიკა,
შპს ლეჩა
შპს ბ. თ. ბაღუმი,

ჩვენი შვილობილი კომპანიები განთავსებულია ქ ბათუმში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე.

ჩვენი შვილობილი კომპანიების საქმიანობა მრავალდარგობრივია, მათ შორისაა მშენებლობა, სასტუმრო ქსელის, ბაზრის, მცირე ჰესის, სანახაობითი ღონისძიებების, სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მართვა და სამედიცინო მომსახურება.

ჩვენს შვილობილ კომპანიებში საქმიანი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებული გვაქვს მწყობრი სტრუქტურული სისტემა. აპარატი დაკომპლექტებული გვყავს გამოცდილი იურიდიული, ფინანსური და სხვა სპეციალობის მქონე პირებით.

ჩვენი შვილობილი კომპანიების უმთავრესი ამოცანაა ყოველწლიურად გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები და შევინარჩუნოთ დასაქმებულთა რაოდენობა.

იმედი გვაქვს მენეჯერთა გუნდი წარმატებით გავართმევთ თავს საზოგადოების თანმიმდევრული და დაბალანსებული განვითარების ამოცანებს.

ჩვენი შვილობილი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები ასახულია წარმოდგენილ ანგარიშებში.

შპს ბაკური-ს

დირექტორი (დამფუძნებელი)

თენგიზ ბაკურიძე



2. ჯგუფის საქმიანობის ანგარიში

შპს „ბაკური“ დაფუძნებულია 1996 წლის 24 იანვარს. იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.ბათუმი გამსახურდიას -ჭავჭავაძე ქუჩა # 49/4 სადარბაზო 4 სართული ბინა 51.

კომპანიის დამფუძნებლებია არიან თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) და ნონა ბაკურიძე (პ/ნ 61001016808) წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თენგიზ ბაკურიძე - 60,25%

ნონა ბაკურიძე - 39,75%

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებენ დირექტორები.

შპს „ბაკური“-ს დირექტორად არჩეულნი არიან თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) საქართველოს მოქალაქე და ზურაბ ჭინჭარაძე (პ/ნ 61007000270) საქართველოს მოქალაქე.

შპს ბაკურის გააჩნია 5 შვილობილი კომპანია, რომელთაგან 4 კომპანიის კაპიტალის 100 %-ის მფლობელია, ხოლო ერთში ფლობს კაპიტალის 63,06 %-ს.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას შპს ბაკურის შვილობილი კომპანიების შესახებ:

	2021 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2020 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	ყიდვის / დაარსების წელი	ძირითადი საქმიანობა
შპს "ბეთლემი-2011"	63.06%	63.06%	2010	გადამამუშავებელი მრეწველობა
შპს „ლეჩა“	100%	100%	2013	სოფლის მეურნეობა
შპს „ქ. ბათუმის N 4 პოლიკნიკა“	100%	100%	2006	ჰოსპიტალური მომსახურება
შპს „ბათუმყოფსერვისი“		100%	2000	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
შპს „ტანსაცმელინდკერვა“- შპს „ბ. თ. ბათუმი“	100%	100%	2007	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები

2021 წლის დეკემბერში მოხდა შპს ბაკურის შვილობილი კომპანია - შპს „ბათუმყოფსერვისი“ შეერწყა მოერე შვილობილ კომპანიას - შპს „ტანსაცმელინდკერვა“-

და რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ კომპანიას შეაყვალ სახელი და დაერქვა შპს „ბ. თ. ბათუმი“.

შპს „ბაკური“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფის“) საქმიანობა მრავალდარგობრივია და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. მშენებლობა.
2. სასტუმრო მომსახურება და სასტუმრო კომპლექსის იჯარით გაცემა
3. კომერციული ფართების იჯარით გაცემა სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო ტერიტორიაზე (ბაზარი).
4. მცირე ჰესის მართვა.
5. საამშენებლო, მასალების (ბეტონი, საამშენებლო ბლოკი, ქვიშა, ღორღი) წარმოება და რელიზაცია.
6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კერძოდ ციტრუსის მიღება, გადამუშავება, რეალიზაცია. ჯგუფს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში გააჩნია 390,04 კვ.მ შენობა ნაგებობა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისთვის.
7. სამედიცინო ამბულატორიული მომსახურება - სამედიცინო დაწესებულების შემოსავლის წყაროა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება, ასევე შიგა სტანდარტებით განეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულია 15600-მდე პირი (პაციენტი).

შპს ბაკურს და მის შვილობილ კომპანიებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი ობიექტები.

1. სავაჭრო ცენტრი ბონი (ბათუმის ბაზარი), რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში მაიაკოვსკის ქ. №4-ში. ადმინისტრაციას ბაზრის სავაჭრო ობიექტები იჯარაზე გაცემული აქვს ცალკეულ იურდიულ, ფიზიკურ და მცირე მეწარმე პირებზე. რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები და მათგან შემოსავლების ამოღება მკაცრად კონტროლდება.
2. სასტუმრო ლ. ბაკური მდებარეობს ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქ. №121 (29 ნომრით);
3. სასტუმრო გ. ბაკური მდებარეობს ქ. ბათუმი ბარათაშვილის ქ. №23 (34 ნომრით);
4. სასტუმრო ბაკური მდებარეობს ქ. ბათუმი წერეთლის ქ. №38 (11 ნომრით);
5. სასტუმრო ბონი მდებარეობს ქ. ბათუმი მაიაკოვსკის ქ. №4 (42 ნომრით);
6. მაჭახელა ჰესი მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონი - მაჭახელის ხეობა;
7. ბათუმის ცირკის შენობა მდებარეობს ქ. ბათუმი ბარათაშვილის ქ. #23;
8. საცხოვრებელი ბინები მრავალ სართულიან საცხოვრებელ სახლებში ბათუმის ცენტრალურ უბნებში.

9. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ხელვაჩაურში, აკაკი შანიძის ქ N 14-ში 20250 კვ.მ ოდენობით, რომელზეც განთავსებულია ერთი ადმინისტრაციის შენობა და სამეურნეო ნაგებობები და დანადგარები;

10. დაბა ჩაქეში, ბათუმის ქ N 20-ში გააჩნია 4485კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი, რომელზეც აშენებული აქვს სასტუმროს ტიპის კოტეჯები;

11. ქ ბათუმში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე 1509 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელზეც მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (11900კვ.მ) მშენებლობა.

12. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში 390,04 კვ.მ შენობა ნაგებობა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისთვის.


13. სამედიცინო დაწესებულების შენობა, რომელიც მდებარეობს ქ ბათუმი, ტაბიძის ქ N2-ში.

14. კომერციული ფართი 1437 კვ. მ. ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N 3 ში

15. სავაჭრო ცენტრი 659,1 კვ.მ. ქ. ბათუმი, ორთაბათუმის დასახლება.

16. სასტუმრო ტიპის კოტეჯი 202 კვ.მ. დაბა ჩაქევი.

❖ ჯგუფის საოპერაციო შემოსავლები 2019-2020 წლებში:



3. კორპორაციული მართვის ანგარიში.

ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს მშობელი საწარმოს პარტნიორთა საერთო კრება. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში. პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ ჯგუფის მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

ჯგუფის საწარმოო პროცესების სწორად წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებულია მწყობრი სტრუქტურული სისტემა, თითოეული კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელია დირექტორი., რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება ისეთი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა, საფინანსო სამსახური, საინჟინრო ტექნიკური სამსახური, იურიდიული სამსახური და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მენეჯმენტი (როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი რგოლის) შედგება კვალიფიციური და გამოცდილი კადრებისაგან, რომლებიც ზედმინვნითა და სრული

პასუხისმგებლობით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ჯგუფში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ბუღალტრული პროგრამა ორისით.

4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

ჯგუფის მომავალი პერსპექტივა:

- სამშენებლო საქმიანობის გაფართოება;
- სასტუმროებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდა;
- დასაქმებული პერსონალის შენარჩუნება და შესაძლებლობის ფარგლებში სახელფასო ფონდის ზრდა;

2020 წელს მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, როგორც სამშენებლო, ასევე

სასტუმრო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დიდგა. ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს, თუმცა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ეტაპზე შემოსავლებმა იკლო, ჯგუფი გეგმიურად განაგრძობს საქმიანობასა და კვლავ აქტიურად მუშაობს ახალი პროექტების განხორციელებაზე. საქმიანობას ვაგრძელებთ, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2022 წლის 10 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ

ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს, თუმცა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ეტაპზე შემოსავლებმა იკლო, ჯგუფი გეგმიურად განაგრძობს საქმიანობასა და კვლავ აქტიურად მუშაობს ახალი პროექტების განხორციელებაზე. საქმიანობას ვაგრძელებთ, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2022 წლის 10 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

10.08.2022 წ